

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა  
კომისიის სხდომის  
ოქმი N 4

ქ. თელავი

2022 წლის 22 აგვისტო

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხაჭაპურიძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თამარ ხატიაშვილი, ეკატერინე ონიკაძე, ზაზა ტატულიშვილი, ბაადურ რევაზიშვილი, ეთერი გურგენაშვილი, ივანე დალაქიშვილი, გელა ესიტაშვილი, ლევან კოჭლოშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ დალუნდარიძე, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე დავით დაღანიძე, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ნათია ვაყელიშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი მაია დათუნაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი ნატალია ჯავახია, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი სპეციალისტი მარიამ ლილუაშვილი, ა (ა) იპ თელავის საფეხბურთო სკოლა „თელავი“-ს მწვრთვნილი ზურა წვერიკმაზაშვილი,

ფეხბურთელი გიგა იაშვილი, მოქალაქე არჩილ მჭედლიშვილი.

### დღის წესრიგი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის 29 დეკემბრის N03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს: გ.ხაჭაპურიძე

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 იანვრის N08 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს: გ.ხაჭაპურიძე

3. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის გადახდის, კონტროლის და მართვის სისტემის შექმნის შესახებ ხელშეკრულების განხილვა.

მომხს: გ.ხაჭაპურიძე

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის 29 დეკემბრის N03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: გიორგი ხაჭაპურიძემ კომისიის წევრებს გააცნო თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებული პროექტი.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ უნდა მოხდეს ცვლილება ბიუჯეტის გადასახდელებში. გაიზარდოს სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობის (კოდი 05 01 02) , კერძოდ, ა (ა) იპ თელავის საფეხბურთო სკოლა „თელავი“-ს დაფინანსების სუბსიდიის მუხლი 56,5 ათასი ლარით, საფეხბურთო სკოლის გუნდების

გასვლით თამაშებზე ტრანსპორტირების ხარჯებისათვის, ქ. ბათუმში, საერთაშორისო ტურნირზე 11 წლის მოზარდების მონაწილეობისათვის და ქვიშის ფეხბურთის გუნდის იტალიის ქალაქ კალიარში ჩემპიონატზე მონაწილეობისათვის.

გაიზარდოს კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობის (კოდი 05 02 01) კერძოდ, ა (ა) იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. წინანდლის სამუსიკო სკოლის დაფინანსების 5,0 ათასი ლარით, მუსიკალური ინსტრუმენტის შეძენის მიზნით.

შემცირდეს კულტურული ღონისძიებების (კოდი 05 02 03) სხვა ხარჯების მუხლი 45,5 ათასი ლარით, „არქეოლოგიური ბანაკი“-ს (გონიო-აფსაროსის მუზეუმ -ნაკრძალი) ღონისძიების განხორციელებისათვის, გამოყოფილი დაფინანსებიდან გამოთავისუფლებული თანხა.

კენჭისყრა: მომხრე ყველა წინააღმდეგი არცერთი.

გადაწყვიტეს: პროექტი წარედგინოს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუროს სხდომას განსახილველად.

მოისმინეს: 2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 იანვრის №08 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, არქეოლოგიური ბანაკიდან (გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალი) გამოთავისუფლებული თანხით (45,5 ათასი ლარი) იზრდება თელავის საფეხბურთო სკოლის დაფინანსება 56 500 ლარით, რომლითაც გათვალისწინებულია: 1. ქვიშის ფეხბურთის გუნდის იტალიის ქ. კალიარში მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატზე მონაწილეობა. 2. ქ. ბათუმში, საერთაშორისო ტურნირზე 11 წლის მოზარდების მონაწილეობისა და საფეხბურთო სკოლის გუნდების გასვლით თამაშებზე ტრანსპორტირების ხარჯებისათვის და ასევე სოფ წინანდლის სამუსიკო სკოლისათვის ინსტრუმენტის (ფორტეპიანო) შეძენა.

კომისიაზე დამსწრე ყველა წევრმა მხარი დაუჭირა წარმოდგენილ პროექტს

გადაწყვიტეს: წარედგინოს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუროს სხდომას განსახილველად.

მოსმინეს: 3. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის გადახდის, კონტროლის და მართვის სისტემის შექმნის შესახებ ხელშეკრულების განხილვა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების მიერ მოწონებული იქნა ხელშეკრულება.

გადაწყვიტეს: ხელშეკრულება მიღებულ იქნას ცნობად

კომისიის თავმჯდომარე:



გიორგი ხაჭაპურიძე